ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 126 (20467) — ხუთშაბათი, 1 ივნისი, 1989 წელი. — ფასი 4 კაპ.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა

კამათი მოხსენების გარშემო გაჟღერა დეპუტატმა **ხ. ტ. მელიოხინმა.** პროფკავშირების თავჯდომარე შეეხო ყველაზე მწვავე სოციალურ პრობლემებს. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა, ხაზგასმით აღნიშნა მან, სამინისო პრობლემაა. დაახლოებით ხუთი მილიონი კაცი ცხოვრობს დღეს ცუდ სამინაო პირობებში. ამავე დროს ბინების საშუალო წლიურმა მატებამ ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში მხოლოდ 15 პროცენტი შეადგინა. ასეთი ტემპით 2000 წლისათვის სამინაო პრობლემას ვერ გადავჭრით. ამიტომ ახალმა მთავრობამ, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, აუცილებლად უნდა გამოძებნოს შესაძლებლობა დასახული პროგრამის უთუო შესრულებისათვის.

შემდეგ დეპუტატმა გააანალიზა სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობის ხელფასისა და ფასების შეფარდება, გააკრიტიკა ქალების სოციალურ უზრუნველყოფაში, ჯანმთელობის დაცვაში, კოოპერაციულ მოძრაობასა და სხვა სფეროებში არსებული ნაკლოვანებანი. ორატორს მიაჩნია, რომ უკეე გიისად უნდა გამოვნახოთ სახლები, რათა გავზარდოთ მინამალური პენსიები, გავათავისუფლოთ ქალები ღამის ცვლისაგან, მათი სუფრიანისამებრ მოკუმატოთ ბავშვის მოვლისათვის განკუთვნილი შეებულება, რომელიც ნაწილობრივ უნაზღაურებენ.

პროფკავშირთა დეპუტატების დავალებით ორატორმა გადასცა განაწყენი ახალ მთავრობას. უახლოეს ორ წელიწადში 40-50 მილიარდი მანეთით უნდა შემცირდეს დაუშთავრებელი მშენებლობის თანხა. ეს სახსრები საკმარისია იმისათვის, რომ შემოვიტანოთ კანონები პენსიების, შეებულებების შესახებ, გამოვუყოთ საჭირო სახსრები ხელოვნური ოჯახებს.

ორატორმა მოუწოდა დეპუტატებს ყრილობის მუშაობის შესვენებისას გამონახონ დრო სიმინილოდ, რომ გვირგვინი მიიტანონ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმთან და უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.

ჩვენი რთული დრო იმდენად ალავსეს პრობლემებით, რომ მთელი სიმწვავით ვგრძნობთ, რაოდენ აუცილებელია თითოეულის პირადი პასუხისმგებლობა ვარდაქმნის ბედისათვის, აღნიშნა დეპუტატმა **ე. ე. სოკოლოვმა.** მთელი რიგი მიმართულებებით მისი დაბრკოლების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ დემოკრატიზაციის ბობოქარ ტალღებში დიაცალინის, ორგანიზებულობის ელემენტები ჩრდილში მოექცა.

შეეხო რა ჩერნობილის ტრაგედიას. შედეგებს, დეპუტატმა გააკრიტიკა მთავრობის კომისია, რომელმაც რამდენიმე წლის განმავლობაში ვერ შეიმუშავა უსაფრთხო ცხოვრების დამაჯერებლად და ღრმად გააზრებული კონცეფცია. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კანონმდებლობის საკითხების შემუშავების დროს მომთხოვნელობას ახლა განსაკუთრებით უნდა დაედოს ფასი.

ილაპარაკა რა აზრთა სოციალისტური პლურალიზმის განვითარებაზე, დეპუტატმა აღნიშნა, რომ ზოგან უკვე ყალიბდება ძალები, რომლებმაც შეგნებულად აირჩიეს კონფრონტაციის, ვითარების დესტაბილიზაციის, პარტიის გეზის დისკრედიტაციის გზა. მან წამოაყენა წინადადება: ურიგო არ იქნებოდა ყრილობას მიეღო სპეციალური პოლიტიკური რეზოლუცია გარდაქმნის ბედისათვის მოქალაქეთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

შეეხო რა ქვეყნის წინაშე წამოჭრილ ეკონომიკურ პრობლემებს, დეპუტატმა განაცხადა, რომ ეს არის გამოცდა, რომელიც საზოგადოებამ რაც შიძლება სწრაფად უნდა ჩაბაროს, გამოთქვა თავისი მოსაზრებები ამის თაობაზე მისი დემონოპოლიზაციის, დეცენტრალიზაციის, დემოკრატიზაციის შესახებ.

დეპუტატმა მკაცრად გააკრიტიკა ჯგუფური ამბიციები, მათი მომეტებულობის განწყობილება, ვინც მზად არის ნაკლოვანებებისათვის ბრალო დასდოს გარდაქმნის ინიციატორებს. მან გამოთქვა თავისაზრისი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაიჭრას ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემები, ხაზგასმით გამოკვეთა ცხოვრები ძალა ფორმულისა: ძლიერი ცენტრი — ძლიერი რესპუბლიკები. დეპუტატმა დამსწრეთ მოახსენა, რომ ამბირჩევლებისაგან მიიღო განაწესი: მოვიაროთ ჩვენს საერთო სახლს — სსრ კავშირს.

დეპუტატმა **ვ. ა. მასოლმა** თავის გამოსვლაში თქვა, რომ უკრაინაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დარგში მოახერხეს არა მარტო დაეძლიათ, წარმოების ზრდის ტემპის შენელებისა და შრომის ნაყოფიერების დაქვეითების ტენდენციია, არამედ უზრუნველყოთ სარსულსრსო პოტენციალის ზრდა. უფრო სრულად აემოქმედებინათ იგი სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად. და მაინც, მიღწეული დადებითი შედეგები ვერ ხსნის მრავალ მწვავე პრობლემას.

ილაპარაკა რა რესპუბლიკის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მისი საწარმოო ძალების განლაგების გეგმებზე, ორატორმა აღნიშნა, რომ დღეს უფრო სრულად უნდა გათვალისწინონ რეგიონალური ფაქტორები. ჩვეულებრივ, ისინი დიდად განსაზღვრავენ სავარაუდო მოჩვენებლების დინამიკას, რომელთა შორის დაასახელა ტექნოლოგიური დატვირთვის მკვეთრი ზრდა, ეკოლოგიური ვითარების გარდაუვლა, მშენებლობის ფრონტის უზომო გაწელვა. რესპუბლიკაში დაადგენენ მტკიცე კურსს, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკის სამომხმარებლო სექტორის განვითარებაში ჩამორჩენის დაძლევას. დასახულია, რომ მომდინარე ხუთწლედის დამლევამდე მოსახლეობისათვის სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მიზნით პროფილი შეუცვალონ მრეწველობის თავდაცვითი დარგების დაახლოებით 70 საწარმოს.

ორატორმა ყურადღება მიაპყრო რეგიონალური სამეურნეო ანგარიშისადმი მიდგომას. მან თქვა, რომ ქვეყნის ტერიტორიის შეწონასწორებული და ეფექტიანი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ფარგლებში. ეკონომიკის არავითარი დახშული მოდელები, შინა-რესპუბლიკური ბაზრის დაცვის ხელოვნური არაეკონომიკური ღონისძიებანი სათანადო ეფექტიანობას ვერ მიანიჭებენ მეურნეობრიობას და ეკიც საჭირო უკუგებას ვერ მოგვცემენ. დროებითი მოგება, რომელსაც მოგვცემს შეზღუდვების შემოღება სარეგიონთაშორისო გაცვლა და კოოპერაციაზე, მომავალში ვერ დაფარავს ეკონომიკური ღონაკარგების რაოდენობას, რომ ალარაფერი ვთქვათ მათ უდიდეს პოლიტიკურ ზიანზე, ურთიერთუნდობლობის ზრდასა და მოძმე ხალხების გათიშვაზე.

კულტურის მდგომარეობას, მის ჰუმანიტარულ, ადამიანურ ნაწილს მიუძღვნა მთლიანად თავისი გამოსვლა დეპუტატმა **დ. ს. ლიხაჩოვმა.** საზოგადოებაში, როგორც არ არის კულტურა, თქვა მან, არ არის ზნეობაც. ელემენტარული ზნეობის გარეშე არ მოქმედებს სოციალური თუ ეკონომიკური კანონები, არ სრულდება ბრძანებულებები და ვერ იარსებებს თამამედროვე მეცნიერება. ჩვენი ქვეყნის დაბალი კულტურა უარყოფილ გვაღენს ადენს ადამიანადობრივ ცხოვრებაზე, სახელმწიფოს მუშაობაზე, ეროვნებათშორის ურთიერთობაზე, რადგან ეროვნული უფლებადაცვა კულტურის ერთ-ერთი მიზეზია, მაღალი კულტურის ადამიანები არ არიან მტრულად განწყობილი სხვისი ეროვნებისადმი, სხვისი აზრისადმი და არ არიან აგრესიული.

სამწუხაროდ, თქვა შემდეგ ორატორმა, კულტურის მიმართ ადიდე მოქმედებს ნარჩენების გადმოყოფის პრინციპი. ქვეყნის კულტურის უაღრესად დაბალ დონეზე მეტყველობს კულტურისა და ისტორიის ძეგლების, ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმების მდგომარეობა. დეპუტატმა ილაპარაკა აგრეთვე იმაზე, რომ შეუწყვარებლად მცირია ბიბლიოთეკართა შრომის ანაზღაურება. გასაკუთრებით სასოფლო რაიონებში, ძალზე პატარა ხელფასი აქვთ მუზეუმების მუშაკებს — რესტავრატორებს, მცველებს, ექსკურსიამძღოლებს.

კულტურა ვერ იქნება სამეურნეო ანგარიშზე, განაცხადა ორატორმა. იგი ხალხს, ქვეყანას გაცლებით მეტ ფეიგრებას აძლევს, ვიდრე. ბიბლიოთეკების, არქივებისა და მუზეუმების შესაძლო უშუალო შემოსავალი, ვიდრე ეკონომიკასა და ტექნიკის ნებისმიერი დარგი. მაგრამ ამ უკუგებას მაშინვე ვერ ვიღებთ. კულტურისა და ზნეობის დაბალი დონე, დამნაშავეობის ზრდა უნაყოფოს, უსარგებლოს გახდის ნებისმიერ დარგში ყველა ჩვენს ღონისძიებას. ჩვენ ვერ შეეძლებთ ეკონომიკის, მეცნიერების, საზოგადოებრივი ცხოვრების რეფორმას, თუ ჩვენი კულტურა დაბალ დონეზე დარჩება.

საბჭოები სახალხო ხელისუფლების ნამდვილ ორგანოდ ფუნდა იქცეს, თქვა თავის გამოსვლაში დეპუტატმა **ა. პ. იანენკომ.** ამისათვის, რომ ეს ნამდვილად მოხდეს, მისი აზრით, საჭიროა კონსტიტუციის 108-ე მუხლის დამატება, ამასთან სახალხო დეპუტატთა ყრილობას უნდა დარჩეს პერსპექტიული სახელმწიფო გეგმების დამტკიცების, სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებისა და განაწილების უფლება.

დეპუტატმა მთელი რიგი შენიშვნები გამოთქვა საბჭოთა მთავრობის საქმიანობის გამო. მისი აზრით, მინისტრთა საბჭოს მუშაობას ჯეროვნად არ აკონტროლებს უმაღლესი საბჭო, თუმცა კონსტიტუციაში ეს ჩაწერილია. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული ქვეყნის განვითარების გენერალური, სტრატეგიული გეგმა, ამ ამოცანას თავი ვერ გაართვა, განაცხადა ორატორმა. ამას მოწმობს ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა, ცარიელი დახლები და უამრავი გაუაზრებელი დოკუმენტი.

ნაჩქარევ, უზუსტო და ბუნდოვან გადაწყვეტილებებს, ორატორის აზრით, მინისტრთა საბჭოდან ეძლევა ცხოვრების საგზური, რადგან მინისტრები, რომელთა უმრავლესობას საამართო მუშაობის სკოლა აქვს გავლილი, ერთსულოვნად, როგორც ერთი, ხმას აძლევენ მათ. მან გამოთქვა რწმენა, რომ მნიშვნელოვანი დოკუმენტების მიღებისას საჭიროა ალტერნატიული გადაწყვეტილებანი, ხოლო ამისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და უმაღლეს საბჭოს სჭირდება ექსპერტთა განყოფილებანი. მეცნიერთა ჩაბმა, რომლებიც მონაწილეობას არ იღებენ დოკუმენტების მომზადებაში, საშუალებას მოგვცემს დიდძალი აზრებიდან ავირჩიოთ სწორი აზრი.

ორატორმა გამოთქვა სურვილი მოუსმინონ მცირე რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, რომლებმაც დაუშვეს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების შემცირება.

შეეხო რა სოფლის მეურნეობის პრობლემებს, დეპუტატმა განაცხადა, რომ „დროა დავუბრუნოთ ვალი სოფელს". ეს კი ნიშნავს — შევუქმნათ სოფლის მცხოვრებლებს კარგი პირობები, შემდეგ კი მოვთხოვოთ მათ უკუგება.

გეგმები სრულდება, ეკონომიკის მდგომარეობა უარესდება. ეს პარადოქსული ურთიერთკავშირი დეპუტატმა **ნ. ა. ნაზარბაევმა** გამოიკვლია ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის დასახასიათებლად.

მხარი დაუჭირა რა დეპუტატებს პოპოვს, ადამოვიჩსა და სხვებს, რომლებიც აკრიტიკებენ ცარიელ დახლებს, ფასების, დეფიციტის ზრდას და სხვა ნაკლოვანებებს, მან ხაზგასმით აღნიშნა: ეკონომიკური რეფორმის შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა მკვეთრად გაზარდა გამოუმუშავებელი ფულის ნაკადი. ქრება იაფი ასორტიმენტი. არ იზრდება სურსათის წარმოება, ხოლო შემოსავალი სოფლის მეურნეობაში მატულობს. რატომ?

ორატორის აზრით, მრავალი ასეთი „რატომ" დაგროვდა. დროა განვსაზღვროთ ეკონომიკის კრიზისის მთელი სიღრმე, შევამუშაოთ მისი დაძლევის ნათელი გზა. ორატორმა მოუწოდა მეცნიერებს უფრო აქტიურად ჩაებან საქმეში. ახლა ხომ, თქვა მან, და ამას დარბაზის მძაფრი რეაქცია მოჰყვა, სამეურნეო ანგარიში, მისი სხვადასხვაგვარი მოდელების მიუხედავად, სინამდვილეში არ არსებობს.

მეთორმეტე ხუთწლედი შედგენილია უძირაობის ყველაზე ცუდი ტრადიციებით. მთლიანი მაჩვენებლები მანეთობით, და არა საქონელი, კიდევ უფრო მძლავრი ბახდა და მიაღწია თავის აპოგეას. ახლა კი უნდა დავუბრუნდეთ ყველაზე არქაულ მაჩვენებელს — შრომის ნაყოფიერებისა და საშუალო ხელფასის თანაფარდობას, რომელიც შემოგვთავაზა ოთხმა უწყებამ. ნუ ეწყინებათ ჩემგან, თქვა დეპუტატმა, მაგრამ ამ დოკუმენტს საწარმოებში „ოთხთა ბანდის წერილი" უწოდეს. ეს მაჩვენებელი ვერ იმოქმედებს.

ორატორმა მოიხსენია გამოავლინონ გაუაზრებელი გადაწყვეტილებების კონკრეტული ავტორები და პასუხი აგებინონ მათ. აუაზეთის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარემ ილაპარაკა აგრეთვე მძიმე სოციალური მდგომარეობის, საგანგაშო ეკოლოგიური სიტუაციის, ლოზუნგის „მთელი ძალაუფლება საბჭოებს" გაჭიანურებული რეალიზაციის შესახებ და მთელ რიგ სხვა აქტუალურ საკითხებზე.

გადავიდა რა შემდეგ ხალხთა მეგობრობის პრობლემაზე, მან აღნიშნა, რომ დიქტატი, რომელიც მოსკოვში მყოფი. უწყებებიდან მოდის, ზოგიერთი ადამიანის შეგნებაში მცდარად არის ასოცირებული რუსეთთან და რუს ხალხთან. მაგრამ განა თვითონ რუსეთს ცოტა ავნო ამ დიქტატმა? განა ამას არ მოწმობს არაშავმოწანიადაგიანი ზონა, ეკოლოგიური პრობლემები, უფრო მეტადაც, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში. მაგრამ ხომ ვერავინ ვერ იტყვის, რომ რუსეთი ოდესმე თავისკენ ეწევოდა სიბრძნე. ვფიქრობ, თქვა ორატორმა, რუსეთის პრესტიჟიც უნდა გავზარდოთ. ამავე დროს მხოლოდ ძლიერი რესპუბლიკაა ძლიერი ცენტრის საფუძველი. საქმით უნდა გავაფართოოთ ყველა რესპუბლიკის თანასწორი უფლებები.

თავმჯდომარემ, დეპუტატმა **რ. ნ. ნიშანოვმა** გამოაცხადა, რომ დავალება ყრილობის პრეზიდიუმის წევრებისადმი — მოეწყოთ კონსულტაციები მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქისადან არჩეულ დეპუტატთა ჯგუფთან იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ოლქისაგან ეროვნებათა საბჭოში არჩევნების შედეგები არ დაუმტკიცებიათ, შესრულდა. ასეთი კონსულტაციები გაიმართა.

ამ საკითხზე სიტყვა ეძლევა დეპუტატ **გ. ა. პოლოსინს.**

მოთათბირების შემდეგ, თქვა მან, ჯგუფმა გადაწყვიტა განმეორებითი კენჭისყრის ბიულეტენებში შესატანად შემოგთავაზოთ ჩვენ მიერ წინათ დასახელებული დეპუტატები ზ. გ. ბალაიანი და გ. ა. პოლოსინანი. მაგრამ, ვითვალისწინებთ რა, რომ დეპუტატი ვ. ჯაფაროვი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა არა თავისი მიზეზით, საჭიროდ მიგვაჩნია იგიც შევიყვანოთ სიაში. ამრიგად, გავავზობთ ბიულეტენებში შეიყვანოთ შემდეგი კანდიდატურები: ზ. გ. ბალაიანი, ვ. ფ. ჯაფაროვი და გ. ა. პოლოსინი. დარწმუნებული ვარ, რომ დეპუტატები შეძლებენ გაკეთონ სწორი არჩევანი ჩვენი კუთვნილი ორი ადგილის კეტის მიხედვით. თუ რატომღაც არჩევნები ღია არ იქნება, ყრილობის პრეზიდიუმს ვთხოვდი თავი შეეკავებინა კენჭისყრაში მონაწილეობისაგან, რათა არაპირდაპირ გავლენა არ მოახდინოს მის შედეგებზე.

ყრილობაზე დასმული საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **ვ. დ. ჯაფაროვი, ლ. ვ. ბარუშევი, ს. ა. გაბრუსევი, მ. ნ. რახმანოვი, ს. ა. ამბარცუმიანი, ლ. მ. ვეიხერი, ა. ნ. კრაკო, კიმ ენ უნი, ი. დ. კობზონი, ა. ი. ვოლკი.**

კენჭისყრის შედეგად ბიულეტენში აზერბაიჯანის სსრ მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქისაგან ეროვნებათა საბჭოში არჩევნების ფაქტული კენჭისყრისათვის შეყვანილი არიან სამი დეპუტატის ზ. გ. ბალაიანის, ვ. ფ. ჯაფაროვისა და გ. ა. პოლოსინანის კანდიდატურები.

დეპუტატმა **ტ. კაიბერიენმა** ყრილობის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო არალისპირეთის რთულ ეკოლოგიურ ვითარებას. მისი აზრით, აქ უაღრესად საგანგაშო სიტუაციაა, რომელიც შეიძლება თავისი მასშტაბითა და შესაძლო შედეგებით უდიდეს მსოფლიო კატასტროფეს შევუდარონ.

ორატორი დაწვრილებით შეეხო აქ ჰერბიციდების, პესტიციდების, დეფოლიანტების უზომო გამოყენებასთან, არალის ზღვის ულმობელ დაშრობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მან აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1988 წლის სექტემბერში მიღებული დადგენილება არალის ზღვის რაიონში ეკოლოგიური და სანიტარიული ვითარების ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მთლიანად ვერ წყვეტს ყველა საკითხს. ამავე დროს, დასძინა ორატორმა, დადგენილებაში კრიტიკე არ არის დაძლეული ზღვის ადგილზე, ისედაც იგი გათვალისწინებულია ხანგრძლივი პერიოდისათვის, თუმცა საჭიროა სსსრფფ ღონისძიებანი.

ჩემი გამოსვლა, განაცხადა დეპუტატმა, არ არის გოდება არალის გაჭირვებული მდგომარეობის გამო. მას ცრემლი კი არა, წყალი სჭირდება. არალის სიკვდილს ხომ მოჰყვება ქვეყნის უზარმაზარ ნაწილში კლიმატის გაუუჯერეველი, კატასტროფული ცვლილებანი. მან დასასახელა უბრივლესი ღონისძიებანი, რომლებსაც უკვე ახლა უნდა მივმართოთ. კერძოდ, საჭიროა შეიქმნას ყრილობის საგანგებო უფლებამოსილების მქონე მონაწილეთა სპეციალური ჯგუფი, რომელიც ხელს მოჰკიდებს არალის გარშემო პრობლემათა მთელ კომპლექსს.

ორატორმა მოიხსენია აგრეთვე შემცირდეს ბამბის ნათესები, ბოლო ოთხი ოლქის რეგიონში მიწათმოქმედების ექსტენსიურ მეთოდებს, აგრეთვე ცხონ არალისპირეთი ეკოლოგიური უბედურების ზონად და დახმარებისათვის მიმართონ მსოფლიო გაერთიანებას.

ზოგიერთ პროცედურულ და სხვა აქტუალურ საკითხზე გამოვიდნენ დეპუტატები **რ. ა. ბრატუნი, ი. ა. მანაენკოვი** და **ვ. ა. ვოლელიკოვი.**

დეპუტატმა **თ. ვ. გამყრელიძემ** თავისი გამოსვლა მიუძღვნა 9 აპრილს თბილისში მომხდარ ამბებს. ამავე თემაზე გამოთქვეს აზრი დეპუტატებმა **ი. ნ. როდიონოვმა, ჯ. ი. პატიაშვილმა** და **ე. ნ. შენგელაიამ.**

თავმჯდომარეს დეპუტატ **რ. ნ. ნიშანოვს** ყრილობის განსახილველად გამოაქვს საკითხი, რომ შეიქმნას 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარ ამბებთან დაკავშირებული გარემოებების საგამძიებო კომისია და ტ. ხ. გდლიანის მეთაურობით სსრ კავშირის პროკურატურის საგამძიებო ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული მასალების შემმოწმებელი კომისია.

გამოცხადდა კომისიების წევრთა შემოთავაზებული სიები.

სიაში შეტანილი კანდიდატურების განხილვაში, წინადადებებითა და შენიშვნებით მონაწილეობენ დეპუტატები **ა. მ. ადამოვიჩი, ვ. პ. ტომაკუნი, ი. თ. კარიაკინი, ი. რ. ბოიარსი, ნ. ს. პეტროშენკო, ა. ა. ზახაროვი, ა. დ. სახაროვი, ტ. ვ. მოშნიაგი, ა. გ. მუხტაროვი, ე. მ. პრიმაკოვი, მ. ს. გორბაჩოვი** და სხვები.

განსახილველ საკითხზე ინფორმაციები გააკეთეს დეპუტატებმა **ზ. ზ. კარპოვმა** და **გ. ა. ბოროვიკმა.**

განხილვის შედეგად ყრილობა პრეზიდიუმს ავალებს დაუბუსტოს კომისიათა შემოთავაზებული შემადგენლობა გამოსული დეპუტატების მიერ დასახელებული კანდიდატურების გათვალისწინებით და წარუდგინოს ყრილობას კომისიების შემადგენლობა.

თავმჯდომარე იწვევს დეპუტატებს მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქისაგან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ფარული კენჭისყრისათვის.

ოლქებ გადაწყვეტილებას კენჭისყრის შედეგები გამოაცხადონ ყრილობის მომდევნო სხდომაზე.

ამით ყრილობის საღამოს სხდომა დამთავრდა.

31 მაისს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა მუშაობას განაგრძობდა.

31 მაისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე გაგრძელდა სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების საკითხის განხილვა.

თავმჯდომარე, დეპუტატი ა.-მ. კ. ბრაზაუსკასი სიტყვას ავლევს დეპუტატ **ვ. ი. სტაროდუბცევს.**

ახლახან, თქვა მან, ვიყავი ტულის, ოლქის ზოგიერთი სხვა ქალაქის მაღაზიებში. ცარიელი დახლები. გაბოროტებული რიგები დგას ომისოვისაც კი, რაც ცოტა ხნის წინათ ჯერ კიდევ იყიდებოდა. სხვა ქალაქებიდან კოლეგები მეუბნებიან, რომ მათთან უარესი მდგომარეობაა. რას მოგვესწარითო? თითქმის როგორც ომის დროის ნორმებით გაიცემა საპონი...

ასე ცხოვრება შეუძლებელია, შეაჯამა დეპუტატმა. ხალხს არაერთხელ დავბიმდით, რომ გამოვასწორებდით საქმის მდგომარეობა [illegible] ეარსება, ხოლო მრავალი პოზიციის მიხედვით აშკარა გაუარესებაა. დღეს, არსებითად, ვიძლევთ მორიგ თამასუქს. მაგრამ ამ დაპირებას, დეპუტატის რწმენით, შეიძლება წინა პროგრამების ბედი ეწიოს, რადგან ახალ დაპირებებს არა აქვს სერიოზული ეკონომიკური საფუძველი.

ორატორმა განაცხადა, რომ გამოხატავს 400-ზე მეტი აგრარიკოსი დეპუტატის საერთო შეშფოთებას, რომლებმაც დაავალეს მას ყრილობაზე გამოსვლა. ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით, რომ ეს პობი განსხვავებას ქალაქსა და სოფელს შორის. განსხვავება დარჩა, სოფლები კი მოისპო. ამ საშიში პრობლემების შემდეგ თოვლის გუნდასავით იზრდება თანამედროვე წარმოების პრობლემები. ამაში, როგორც წვეთ წყალში, აისახება სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა.

ჩვენ ყველანი ერთიანი ვართ იმაში, რომ გარდაქმნა არ გაბედთარდება, თუ ვერ დავაპურებთ ხალხი. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ პოლიტიკური მოწოდებად დაგიჯ. ორატორმა ილაპარაკა თანამედროვე გლეხის მძიმე მდგომარეობაზე, ადმინისტრაციულ-ზეგაზეწენინთა სისტემის დამამუხრუჭებელ ფუნქციებზე, სოფლის სრულიად უვარგის მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაზე, არამავმიწანიადგიანი ზონიადან ყურადღების შესუსტებაზე, ფასების არანაულ ზრდასა და სხვა აქტუალურ საკითხებზე. მან საკითხის დასმის წესით შეიტანა რამდენიმე შეკითხვა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებების თაობაზე, რომლებიც, მისი აზრით, ეწინააღმდეგება, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის მარტის პლენუმის გეზს.

მაინც როგორი წარმომიდგება ჩიხიდან გამოსავალი? ვიფიქრობ, თქვა ორატორმა, საჭიროა მთელი სახალხო მეურნეობის გეზის სერიოზული შეცვლა სოფლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და მისი ინფრასტრუქტურის დაჩქარებულად განვითარების სასარგებლოდ. ეს ოღონ ნაბიჯი არ გახლავთ. ჩვენ ხომ მოგვეხდება სერიოზულად შეეამეიროთ სხვა სახალხო-სამეურნეო კომპლექსების პროგრამები. იქნებ, შეეამეიროთ ხარჯები თავდაცვისა და სხვა პროექტებისათვის. გარდაუვალია აგრეთვე შრომისუნარიანი მოსახლეობის ორგანიზებული ადასახლება რეგიონებში, სადაც დაკარგულია მოსახლეობის გამრავლების უნარი. მაგრამ სხვა გზა არ არის.

თანამედროვე გლეხობის წარმომადგენლობა შემდეგ გამოთქვა აზრი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სისტემის დაკაცებულად, რომელსაც ამ ბოლო ხანს თავს ეხსნიან. დამისახელეთ თუნდაც ერთი ქვეყნის გლეხობა, თქვა მან, რომელიც გაუძლებდა მოსკოვის ასეთ შემოტევას. კოლმეურნეობებმა გაუძლეს, და ეს ერთხელ კიდევ მოწმობს წყობილების დიდ სასიცოცხლო ძალას.

ორატორმა წინადადება წამოაყენა შეიქმნას მუდმივი ორგანო — აგრარულ საკითხთა კომიტეტი საბჭოთა გლეხობის ინტერესების დასაცავად, რომელიც უნდა დაექვემდებაროს მხოლოდ ყრილობას. საჭირო იქნება ამ რთული პროგრამისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს.

(გაგრძელება მე-3 გვ.).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო არჩეულია სსრ [illegible] სახალხო დეპუტატთა პირველ [illegible]

კავშირის საბჭო

რსფსრ

ალექსეევი სერგი სერგის ძე — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ურალის განყოფილების ფილოსოფიისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, ქ. სვერდლოვსკი.

გლაზეევი ბორის ბაფუცარის ძე — ტირნიაუზის ვოლფრამმოლიბდენის კომბინატის დირექტორი, ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ.

ბლიზნოვი ლეონიდ ევგენის ძე — მოსკოვის თავსაფრების საწარმოო გაერთიანების ზეინკალ-მერემონტე, ქ. პავლოვსკი პოსადი.

ბობილევა ევდოკია თეოდორეს ასული — ტულის ოლქის ოდოევსკის საშუალო სკოლის დირექტორი.

ბოგდანოვი იგორ მიხეილის ძე — № 94 სკოლის დირექტორი, ქ. გორკი.

ბოგომოლოვი იური ალექსანდრეს ძე — პენზის ოლქის კუზნეცკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ეკლაშევსკის" დირექტორი.

ბოგოდინი იური ივანეს ძე — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ქ. ნოვოსიბირსკი.

ბორისკოვი ვიაჩესლავ ალექსანდრეს ძე — საწარმოო გაერთიანება „კიროვის ქარხნის" ზინკალი, ქ. ლენინგრადი.

ბორისოვი მიხეილ ალექსანდრეს ძე — ბუტოვკის საშენ მასალათა კომბინატის დირექტორი, ქ. მოსკოვი.

ბურლაცკი თევდორე მიხეილის ძე — „ლიტერატურნაია გაზეტას" პოლიტიკური მიმომხილველი.

გლაზკოვი ნიკოლოზ სიმონის ძე — მოსკოვის მხატვრული საოლების ქარხნის ოსტატ-ბრიგადირი.

გოლიაკოვი ალექსანდრე ივანეს ძე — „ანგარშენის" მშენებლობის — სამმართველოს № 274 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მემონტაჟეთა ბრიგადირი, ირკუტსკის ოლქი.

გოლუბოვიჩიკოვი ვალერი ივანეს ძე — ნოვი ურენგოის გაერთიანებული ავიაიარზმის 25-ე საფრენოსნო რაზმის მი-8 ვერტმფრინავის ბორტმექანიკოსი, ტიუმენის ოლქი.

ზუზოვი იური ივანეს ძე — იაროსლავლის ოლქის რიბინსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ოქტიაბრსკის" დირექტორი.

ივანოვი კლიმენტ ეგორის ძე — „ჩრდილოეთის" გენერალური დირექტორი, ქ. იაკუტსკი.

იაკუბინი ვლადისლავ სტანისლავის ძე — საწარმოო გაერთიანება „ბოგუჩარსკაიას" ტყის მრეწველობის მეურნეობის გამსხვილებული კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, კრასნოიარსკის მხარე.

იარინი ბენიამინ ალექსანდრეს ძე — ნიჟნი ტაგილის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის ოპერატორი, სვერდლოვსკის ოლქი.

იარომაია ოლგა პაველს ასული — სარატოვის ოლქის ატკარსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „წითელი ვარსკვლავის" მწველავი.

ივჩენკო ივანე მიხეილის ძე — როსტოვის ოლქის ჩერტკოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის" მერგოლური.

ითვლეევი დმიტრი მიხეილის ძე — საწარმო გაერთიანება „მოსკვიჩის" ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხნის ზეინკალი, ქ. მოსკოვი.

იუდინი ვლადიმერ დმიტრის ძე — ჩრდილო-აღმოსავლეთის საწარმოო გეოლოგიური გაერთიანების ცენტრალური გეოქიმიური პარტიის უფროსი, მაგადანის ოლქი.

კაზარინი ალექსი ალექსანდრეს ძე — საწარმოო ხისამშენებელი „ვესიმე სახელმწიფო საკისრის ქარხანა" გამმართველი, ქ. სარატოვი.

გრიცენკო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე — ნ. მ. შვერნიკის სახელობის საკავშირო პროფსაბჭოს პროფკავშირული მოძრაობის უმაღლესი სკოლის რექტორი, ქ. მოსკოვი.

გრუზი ვიქტორ ივანეს ძე — საწარმოო გაერთიანება „ბრიანსკის საავტომობილო ქარხანა" გენერალური დირექტორი.

გაზუდინა ანა ჯორნილის ასული — ვორონეჟის ოლქის ბორისოგლებსკის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს განყოფილების გამგე.

გუბარევი ვიქტორ ანდრიას ძე — საცდელ-ექსპერიმენტული მანქანათაშენებელი ქარხნის „ნავთობთერმმანქან

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის

დეპუტატ თ. ვ. გამყრელიძის გამოსვლა

ქ. თბილისი (ახალშენის ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქი, აჭარის სსრ)

პატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო!

ჩემს გამოსვლაში მინდა შევეხო მოვლენებს, რომელთა შესახებ საკითხი ამა თუ იმ ფორმით არაერთგზის დასმულა ჩვენს ყრილობაზე. ყრილობა, არსებითად, სწორედ იმით დაიწყო, რომ პატივი სცა თბილისში 1989 წლის 9 აპრილის ამბების უდანაშაულო მსხვერპლთა ხსოვნას. ეს შემთხვევითი არ არის. თბილისის ტრაგედიამ შეძრა ყველა და ლახვარი ჩასცა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, რომლებზეც ამდენს ვლაპარაკობთ ახლანდელ ყრილობაზე, ჩასცა ლახვარი, რომლის სოციალური და პოლიტიკური შედეგების განჭვრეტა ახლა ძნელია.

მე შევეხები საკითხებს, რომლებიც უკავშირდებიან ჩვენი სახელმწიფოს იმ ახალი კურსის თვით საფუძველს, რომელსაც ეწოდება „გარდაქმნა“, „განახლება“, „დემოკრატიზაცია“, „საჯაროობა“, რომლის განხორციელებაზე, საბოლოო ანგარიშით, დამოკიდებულია ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის და, შესაძლოა, მთელი ჩვენი [illegible]ანტის შემდგომი არსებობის ფორმა და ხასიათი.

მე შევეხები თ[illegible]ლისში 9 აპრილს მომხდარ ტ[illegible]აგიკულ ამბებს და შევიცდები განვმარტო ეს ამბები ჩვენს სახ[illegible]ფოში საგარეთლებრივი [illegible]ების ფუნქციონირების [illegible]ით, მოქმედი კონ[illegible]ერი უფლებების თვალსაზ[illegible].

უნდა გამო[illegible]ოთ მთელი სიმართლე და [illegible] იგი ბოლომდე. მხოლო[illegible] შემთხვევებში შეიძლება [illegible] ერთგვარი სამართლებრივ[illegible] გარანტია იმისა, რომ მომავალში ამგვარი ტრაგიკული მოვლენები არსად აღარ განმეორდება.

ჩვენმა ქვეყანამ [illegible] მთელმა საერთაშორისო [illegible]ბამ შეიტყო, რომ [illegible] 4 აპრილს [illegible] 4 საათზე თბილისში უს[illegible] მიტინგისა და მშვიდობიან [illegible]ონსტრაციის გარეკვის საბაბით ბოდან უდანაშაულო ადამიანთა უპრეცედენტო სასტიკი [illegible]ბრივი დარბევა, რომელსაც [illegible] მოჰყვა. მიტინგი, რომელზეც ათი ათასამდე კაცი შეიკრიბა, იყო მშვიდობიანი, სადაც არ გამოუყენებიათ ძალადობა და არ ყოფილა ძალადობის ნიშნები, როცა მთავრობის სახლის წინ მდებარე მოედანზე სრულიად გაუფრთხილებლად გამოჩნდნენ [illegible]ანკები და ჯავშანტრანსპორტიორები. ხალხი, რომელიც [illegible] ბდა საშიშროებას, ანთებული [illegible]ილებით იდგა, მღეროდა ძველ [illegible]ამღერებს და ლოცულობდა. [illegible]ელი ამ სურათის ზუსტად [illegible]ამყნებით დეტალურად აღ[illegible] შეიძლება არსებული ვიდ[illegible] და ფოტომასალებით, დ[illegible]ლებულთა და მატ[illegible] სხვ[illegible]ონალურად, მრავალრიცხოვ[illegible]ნ წმია ჩვენებებით (რამდენადაც [illegible]ია, ამ ვიდეომასალებს დღეს უჩვენებენ შვიდ საათზე).

ჯარის ნაწილებმა ხელკეტებთან ერთად გამოიყენეს მეხანგრის ხელსაწრეები და მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებანი, რაც ოფიციალურად განაცხადეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალურ კომისიაზე, რ[illegible]ის მუშაობაში მონაწილეობდ[illegible] სოსკოველი და ლეონინგრადელ[illegible] ექსპერტებიც, ხოლო მოგვიანე[illegible] აგრეთვე შვეიცარიიდან, გ[illegible]ნიან ფიდერაციული რესპუბლ[illegible]ან, საფრანგეთიდან, ამერიკის [illegible]ერთიანებული შტატებიდან ჩვ[illegible] მოწვეული საერთაშორისო [illegible]პერტები, ექიმები და ტოქსიკოლ[illegible]ები.

ეს სამხედრო ოპერაცია, რომელსაც [illegible]ამოქმედებდა ამერიკაკავკასიის [illegible]ხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი როდიონოვი, როგორც ჩანს, ჩაფიქრებული იყო არა როგორც მშვიდობიანი მიტინგის გარეკვის ოპერაცია, არამედ წინასწარ დაგეგმილი სადასჯელო ოპერაცია ხალხის გასაულეტად, რადგან ოპერაციის დაწყების წინ არ ყოფილა დაფიქრებული მხრივ გამაფრთხილებელი მოწოდებები ან მოქმედება ჯარისკაცებმა ჩაკეტეს გასასვლელები, ალყაში მოაქციეს მოკალაქეები და ხელკეტებსა და მეხანგრის ხელსაწრეს ურტყამდნენ მათ, არ ინდობდნენ იქ მწოლიარე მოშიშვლიებს, ქალაშვილებსა და ხანში შესულ ქალებს, ექიმებსა და წითელი ჯვრის მუშაკებს, დევდნენ გაქცეულებს, ხოცავდნენ დაჭრილებს, რომლებსაც ჩელიდან გლეჯდნენ სამედიცინო პერსონალს, ურტყამდნენ ადგილობრივი მილიციის მუშაკებსაც, რომლებიც, ასრულებდნენ რა თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას, ცდილობდნენ გადაერჩინათ მოკლულნი.

ოფიციალური მონაცემებით, ტრაგედიის ადგილას დაიღუპა თექვსმეტი ადამიანი, რომელთაგან თოთხმეტი ქალია, მათ შორის უფროსი — სამოცდაათი, უმცროსი — 15 წლისა. სამი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მოგვიანებით ცენტრალური და სამხედრო პრესა და „პოონერსკაია პრავდაც“ კი წერდნენ, ქართველი მამაკაცები თავიანთ საკუთარ ქალებსა და ბავშვებს ხოცავდნენო, ხოლო ჯარისკაცები, თურმე, ცდილობდნენ გადაერჩინათ და დაეცვათ ისინი თავიანთი გაფთრებული მამაკაცების თავდასხმებისაგან. საერთოდ, აღსაშფოთებელია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, განსაკუთრებით ცენტრალური პრესა და ტელევიზია, პროგრამა „ვრემია“, მოვლენებს ყალბად და ტენდენციოზურად აშუქებდნენ და ამტკიცებდნენ, თითქოს ხალხი სრულიად გაუგიჟრავად „წარმოშობილმა ჰყლეტამ“ იმსხვერპლა. ყოველივე ეს გვაოცებს თავისი არაკომპეტენტურობითა და პრიმიტიულობით.

განსაკუთრებით გვაზარავს დიმონსტრანტთა წინააღმდეგ მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებების გამოყენების ფაქტი. ყოველივე ეს შეუთავსებელია ცივილიზებულ საზოგადოებაში მიღებულ მორალურ და სამართლებრივ ნორმებთან, უნდა მივიჩნიოთ დანაშაულად საკუთარი ხალხისა და საერთოდ ადამიანურობის წინაშე. დანაშაული იყო მომწამვლელი ქიმიური ნივთიერების გამოყენება, მაგრამ არანაკლები დანაშაული იყო ისიც, რომ დიდი ხნის განმავლობაში ამ ფაქტს მალავდნენ, რასაც მოჰყვა გაზით მოწამლულ მსხვერპლთა მდგომარეობის გართულება ან დაღუპვა, რომლებსაც დროულად ვერ გაეწია შესაბამისი სამედიცინო დახმარება. უფრო მეტიც, სამხედრო ხელისუფლებამ, რომლებმაც დამალეს მოწამვლელი ქიმიური ნივთიერებების გამოყენების ფაქტი და დროულად არ განახორციელეს დამხჯელი რაზმების მოქმედების რაიონის დეგაზაცია, ამით ბელი შეუწყვეს ადამიანთა, განსაკუთრებით ბავშვთა და მოზარდთა, შემდგომ მასობრივ მოწამვლას. 9 აპრილის ტრაგიკული ამბებიდან ორი-სამი კვირის მანძილზე. საჭიროდრო ხელისუფალნი გასაგები მიზეზებისა გამო დიდხანს ჯოუტად უარს ამბობდნენ იცნონ მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებების გამოყენების ფაქტი. ეგრეთ წოდებული „ჩერიომუხას“ — ცრემლსადენი ნივთიერების ქლორაციტოფენონის — გამოყენება ცნეს მხოლოდ 14 აპრილს, ხოლო ვიეტნამში საძრახისად ცნობილი ძლიერმოქმედი მომწამვლელი ნივთიერების სი-ეს-ის გამოყენება — მხოლოდ თვის დამლევს, ისიც საზოგადოებრივობისა და მოსკოვის, კიევის, ხარკოვისაგან სახალხო დეპუტატთა მტკიცე ზეგავლენით.

ახლახან უცხოელმა ტოქსიკოლოგმა ექსპერტებმა დაადგინეს გამოყენებულ ქიმიურ მომწამვლელ ნივთიერებებს შორის კიდევ ერთი ძლიერმოქმედი მბუთავი შხამის — ქლორპიკრინის არსებობა, რომელიც გამოყენებული იყო პირველ მსოფლიო ომში.

იმაზე, რომ ექიმებს თავიდანვე არ ჰქონდათ ინფორმაცია მომწამვლელი ნივთიერებების შედეგნილობისა და სტრუქტურის შესახებ, უაღრესად გააძნელა მკურნალობა, გამოიწვია საყოველთაო აღშფოთება და გულისწყრომა მოსახლეობაში. მოწამლულთა დიდმა ჯგუფმა ამის გამო შიმშილობა გამოაცხადა.

გამოძიების შედეგად გამოირკვა, რომ ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებანი გამოუყენებიათ არა მარტო მთავრობის სახლის წინ მდებარე მოედანზე, არამედ ახლო-მახლო ტერიტორიებზეც. ჯარისკაცები შხამიან კაფსულებს ისროდნენ შენობებში, სადაც დევნილი ხალხი თავს აფარებდა.

დღეისათვის მოწამვლის ნიშნებით სამედიცინო დაწესებულებებს მიმართა 8500-ზე მეტმა კაცმა, რომელთაგან სტაციონარულ მკურნალობას გადის 500-მდე კაცი, ზოგიერთის მდგომარეობა ჯერ ისევ მძიმეა. ეს მონაცემები დაადასტურეს საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა. ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფმა „ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლმა“ ექიმებმა“, ფრანგმა ექსპერტებმა „უსაზღვრო ექიმებმა“.

არანაკლებ ტრაგიკულად ვითარდებოდა ამბები 9 აპრილს შემდეგაც. თბილისში კომენდანტის საათის შემოღებას, რაც ქალაქის მოსახლეობას ეუწყა ძალაში შესვლამდე სულ რამდენიმე წუთით ადრე, მძიმე შედეგები მოჰყვა. კომენდანტის საათის გამოცხადებიდან ნახევარი საათის შემდეგ ახალგაზრდა კაცს ტაყვი დაახალეს და მოკლეს მანქანაში; რამდენიმე კაცი დაიჭრა, მათ შორის თორმეტი წლის ბიჭუნა, რომელიც ველოსიპედით დასეირნობდა.

9 აპრილის ტრაგიკული ამბების უარყოფითი შედეგები დღესაც შეინიშნება, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებს შორის, რომელებსაც უცხოელმა ექსპერტებმა დაუდგინეს ეგრეთ წოდებული „კატასტროფაზე მასობრივი ფსიქოგენური რეაქციის“ სინდრომი.

ჩვენ აღვნიშნავთ რესპუბლიკაში დაძაბულობის განსაკუთრებით მაღალ დონეს, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება გადაიქცეს სხვადასხვაგვარ განუჭვრეტელ მოქმედებად. მხოლოდ სრულ საჯაროობასა და დამნაშავეთა დასჯას შეუძლია თავიდან აგვაცილოს ამ ტრაგედიის კატასტროფული ზემოქმედება ჩვენი თანამოქალაქეების ქცევასა და მორალურ მდგომარეობაზე ქვეყნის მეულ ტერიტორიაზე.

9 აპრილს ქალაქ თბილისში მოხდარ ტრაგედიას და მის შედეგებს მთელი ქართველი ერი აღიქვამს, როგორც საყოველთაო ეროვნულ უბედურებას, რომლის მნიშვნელობა სცილდება ეროვნულ ფარგლებს და ეხება ხალხთა უფლებებისა და თავისუფლებების ზოგადსაკაცობრიო პრინციპებს.

როგორ მოხდა, რომ ზამართლებრივ სოციალისტურ სახელმწიფოში დატრიალდა ტრაგიკული ამბები ხალხის ძირითადი კონსტიტუციური უფლებებისა და ადამიანურობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დარღვევით? თბილისში 9 აპრილს მომხდარმა ტრაგედიამ გამოავლინა ამჟამად სსრ კავშირში მოქმედი სამართლებრივი მექანიზმის სრული უსუსურობა, რომლის დროსაც არა მარტო ადამიანებს, არამედ მთელი რესპუბლიკის ბედსაც კი შეიძლება დემოკრატიზაციის და პროგრესის პროცესისადმი მტრულმა, უპასუხისმგებელო რეაქციულმა ძალებმა საფრთხე შეუქმნა. ესმით თუ არა იმ ადამიანებს, რომლებიც მშვიდობიან დემონსტრანტთა წინააღმდეგ ორლესული ხელსაწრეისა და მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებების გამოყენების ბრძანებას იძლევიან, რომ ამით კლავენ მთელი თაობის, მთელი ხალხის სულს და გამოუსწორებელ შიანს აყენებენ ეროვნებათშორის ურთიერთობას, ზიანს, რომლის უარყოფითი შედეგები ძნელია გაანგარიშება.

9 აპრილს თბილისში მომხდარი ამბების შესახებ პარტიული, საბჭოთა და სამხედრო უწყებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებათა კანონიერების სამართლებრივი ანალიზი ეჭვს არ იწვევს, რომ ჩვენში ხშირად უპასუხისმგებლოდ არღვევენ ხალხთა სუვერენულ კონსტიტუციურ უფლებებს და რომ ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაშია. ჩვენ მოგიწოდებთ დაუფარავად, საჯაროდ და პასუხისმგებლობის გრძნობით გამოიძიოთ თბილისში მომხდარი ეს სისხლიანი დარბევა, 1989 წლის 9 აპრილის ამ „სისხლიანი კვირის“ შედეგები, გამოავლინოთ ამ დანაშაულის ნამდვილი ბრალეულნი და დასაჯოთ ისინი, თუნდაც სამხედრო და პოლიტიკური ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებს განეკუთვნებოდნენ.

